ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2609111

ნომერი: AR1405524

თარიღი : 18.05.2016

გაცემის თარიღი : 30.05.2016

გაცნობის თარიღი : 30.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩუბინაშვილი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელა გულედანი პ/ნ 01019004522
- ვაჟა ფშაველას 16 ოფისი222

ორგანიზაცია:
- შპს სასკო კოდი: 205045636

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურის მიერ ერთხელ უკვე გეცნობათ, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით №1223453 გაიცა ქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), ჩუბინაშვილის ქ. N63–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე, საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 16 აპრილიდან 2015 წლის 1 იანვრის ჩათვლით. №1223453 ბრძანების 3 პუნქტით დაევალა დამკვეთს, რომ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტებისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი გადახდილი იქნეს წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პირველ რიგში წარმოდგენილი უნდა იქნას კ2 კოეფიციენტის გადახდის ქვითრები. ამასთან წარმოსადგენია დასაბუთების ალბომი და სიმაღლის განმსაზღვრელი სქემა;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.